ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის
მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებული

1932 წლის მაისის 12	№ 11 განყოფილების პირველი	ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველობის გამოცემა.

შინაარსი:

დადგენილებანი ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

მუხ. 94. მუშა-ხელისა და საშენი მასალის საცნობო ფასების შეკრეფისა და გამოქვეყნების წესის შესახებ.

95. საბინაო და კომუნალურ-საყოფაცხოვრებო მშენებლობისათვის მიქცეულ სახსართა კომუნალური ბანკების სისტემაში თავის დროზე და სრული აკკუმულაციის უზრუნველყოფის შესახებ.

96. 1. საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულთან (ა/კსფსრ-ში) არსებული სანადირო მეურნეობის მომწესრიგებელი კომიტეტის დებულების დამტკიცების შესახებ.

2. კომიტეტის შედგენილობის შესახებ.

97. გეოტოპოგრაფიული და კარტოგრაფიული სამუშაოების დაგეგმვისა და მოწესრიგების საქმის მოწყობის შესახებ.

98. სამოქალაქო საჰაერო ფლოტის განვითარებისა და მშენებლობის ხელისშემწყობი ამიერკავკასიისა, რესპუბლიკანური და ადგილობრივი კომისიების მოწყობის შესახებ.

99. სახელმწიფო საგეგმო კომისიებთან სამშენებლო სამუშაოთა საწარმოო და სატარიფო ნორმირებისათვის არსებული მუდმივი საუწყებათაშორისო თათბირების შესახებ.

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

94. მუშა-ხელისა და საშენი მასალის საცნობო ფასების შეკრეფისა და გამოქვეყნების წესის შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

მშენებლობის რეგულირებისაგან საგეგმო ორგანოების განთავისუფლების გამო (ა/კსფსრ კან. კრ. 1931 წ. მე-19 №-ი, მუხ. 219) და სსრკ-ის სახელმწიფო საგეგმო კომისიის 1932 წ. აპრილის 3-ის დადგენილების შესაბამისად, რომლი-

თაც მუშა-ძალისა, საშენი მასალისა და ავტო-ჭაპანზიდვის ტრანსპორტის საცნობო ფასების დამუშავება რაიონის ხაზით დაკისრებული აქვს სახალხო-სამეურნეო აღნუსხვის სამმართველოს,—ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წლის სექტემბრის 21-ის დადგენილება „მუშა-ხელისა და საშენი მასალის საცნობო ფასების შეკრეფისა და გამოქვეყნების წესის დებულების დამტკიცების შესახებ“ (ა/კსფსრ კან. კრ. 1928 წ. მე-19 №-ი, მუხ. 210) გაუქმებულ იქნეს.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **გ. მუსაბეკოვი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ა. შავერდოვი.**

1932 წ. მაისის 10.
№ 478.
ტფილისი.

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

95. საბინაო და კომუნალურ-საყოფაცხოვრებო მშენებლობისათვის მექცეულ სახსართა კომუნალური ბანკების სისტემაში თავის დროზე და სრული აკკუმულაციის უზრუნველყოფის შესახებ.

სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. ივლისის 11-ის დადგენილებისა და ამ დადგენილების განსავითარებლად გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. ოქტომბრის 8-ის დადგენილების პრაქტიკული განხორციელებისათვის საჭიროდ იქნეს ცნობილი შემდეგ ღონისძიებათა ჩატარება:

1. წინადადება მიეცეს ამიერკავკასიის სახელმწიფო, კოოპერატიულ და განსაზოგადოებული სექტორის დაწესებულებათ და საწარმოთ—საბინაო, კომუნალური და კულტურულ-საყოფაცხოვრებო (სკოლებისა, საავადმყოფოებისა, კურორტებისა, ფაბრიკა-სამზარეულობებისა და სხვ.) მშენებლობისათვის ამ დაწესებულებათა და საწარმოთა შინაგან დანაგროვებიდან დანიშნული ყველა სახსარი შეიტანონ ხოლმე, თავიანთი სამყოფელი ადგილის მიხედვით, ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების კომუნალურ ბანკებში.

2. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს—ამა დადგენილების 1-ლ მუხლში მოხსენებული მშენებლობისათვის დანიშნული ყველა კრედიტი, რაც გატარებულია ა/კსფსრ ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტის ფედერატიულ ნაწილში როგორც უწყებათა ხარჯთაღრიცხვებისა, ისე სახალხო მეურნეობის დაფინანსების ფონდის ხაზით, გახსნას ხოლმე ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების კომუნალური ბანკების გამგეობათა უშუალო განკარგულებაში, დასაფინანსებელი დაწესებულებისა თუ საწარმოს სამყოფელი ადგილის მიხედვით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. წინადადება მიეცეს სსრკ სახელმწიფო ბანკის ა/კ. კონტორას—გადარიცხოს ხოლმე კომუნალური ბანკების ანგარიშზე სამეურნეო ორგანიზაციების ანგარიშებიდან მათი საძრეწველო-საფინანსო გეგმებით ამა დადგენილების 1-ლ მუხლში აღნიშნული სახის მშენებლობისათვის გადადებული სახსარი.

წინადადება მიეცეს ცენტრალური კომუნალური ბანკის რწმუნებულს ა/კსფსრ-ში—სასწრაფოდ შეიტანოს ცენტრალური კომუნალური ბანკის გამგეობაში წარდგენება სსრკ სახელმწიფო ბანკის გამგეობასთან ამა მუხლში აღნიშნული სახსარის გადარიცხვის წესის შეთანხმების შესახებ.

4. წინადადება მიეცეს ყველა სამეურნეო ორგანიზაციას—გადარიცხოს ხოლმე, არა უგვიანეს ერთი დეკადის ვადისა წლიური ანგარიშის დამტკიცების შემდეგ, კომუნალურ ბანკში, თავისი სამყოფელი ადგილის მიხედვით, მუშათა და მოსამსახურეთა ყოფაცხოვრების გაუმჯობესების ფონდისათვის თავისი ხვედრი ანარიცხები.

5. წინადადება მიეცეს ამიერკავკასიის ყველა დაწესებულებას და სამეურნეო ორგანიზაციას—დასდვას კომუნალურ ბანკთან ხელშეკრულება, რომლითაც გაითვალისწინება ამა დადგენილების 1-ლ მუხლში აღნიშნული მშენებლობის დაფინანსების წესი და ვადები სათანადო ორგანოების მიერ დამტკიცებული მშენებლობის მოცულობისა და ამ მშენებლობისათვის დანიშნული სახსარის მიხედვით.

ცენტრალური კომუნალური ბანკის რწმუნებულმა ა/კსფსრ-ში უნდა შეიმუშაოს კომუნალურ ბანკებსა და ამა დადგენილების 1-ლ მუხლში აღნიშნული სახეების მშენებლობის განმახორციელებელ სამეურნეო ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს შორის დასადები ტიპური ხელშეკრულება.

6. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს:

ა) უზრუნველჰყონ ამა დადგენილების 1—5 მუხლებით განსაზღვრულ ღონისძიებათა აღსრულება რესპუბლიკანური და ადგილობრივი დაწესებულებებისა და სამეურნეო ორგანიზაციების მიერ;

ბ) წინადადება მისცენ ადგილობრივ საბჭოებს უცილობლად შეასრულონ მათი ბიუჯეტებით გათვალისწინებულ სახსართა გადაცემა ამა დადგენილების 1-ლ მუხლში აღნიშნული სახეების მშენებლობისათვის.

7. რათა ადგილობრივმა საბჭოებმა წარმატებით შეასრულონ ესე დადგენილება:

ა) წინადადება მიეცეს ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს,—ა/კსფსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატთან, სსრკ სახელმწიფო ბანკის ა/კ. კონტორასთან, ცენტრალური კომუნალური ბანკის რწმუნებულთან (ა/კსფსრ-ში), რესპუბლიკანურ ფინანსთა სახალხო კომისარიატებთან და კომუნალურ ბანკებთან ერთად,—შეიმუშაოს ერთი თვის ვადაზე კომუნალური ბანკების ფილიალების და სააგენტოების ტარაიონებისა და მათი ფუნქციების საკითხები და წარმოუდგინოს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს სათანადო დადგენილების პროექტი;

ბ) წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მთავრობათ—მიამაგრონ ცალკეული რაიონები და ქალაქები კომუნალური ბან-

კების სათანადო ფილიალებსა და სააგენტოებს მათში ადგილობრივი ბიუჯეტისა და ადგილობრივი დაწესებულებების და სამეურნეო ორგანიზაციების სახსართა აკკუმულაციისათვის.

8. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების კომუნალურ ბანკებს—დაუყოვნებლივ გადავიდენ ახალ წესდებაზე, მათთვის სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. ივლისის 11-ის დადგენილებით დაკისრებული ახალი ამოცანების შესაბამისად, და გარდაქმნან თავიანთი აპარატების მუშაობა აღნიშნული ამოცანების თანახმად.

წინადადება მიეცეს ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს და ცენტრალური კომუნალური ბანკის რწმუნებულს ა/კსფსრ-ში თვალყური გაადევნონ ამა მუხლის აღსრულებას და ერთი თვის შემდეგ წარმოადგინონ სათანადო მოხსენება.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **გ. მუსაბეკოვი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ა. შავერდოვი.**

1932 წ. მაისის 10.
№ 480.
ტფილისი.

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

96. 1. საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულთან (ა/კსფსრ-ში) არსებული სანადირო მეურნეობის მომწესრიგებელი კომიტეტის დებულების დამტკიცების შესახებ.
2. კომიტეტის შედგენილობის შესახებ.

1. დამტკიცებულ იქნეს ქვემომდევნო დებულება სსრკ-ის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულთან (ა/კსფსრ-ში) არსებული სანადირო მეურნეობის მომწესრიგებელი კომიტეტის შესახებ.

2. კომიტეტის შედგენილობაში შედიან: სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის რწმუნებული ა/კსფსრ-ში ამხ. მარკმანი, ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატიდან—ამხ. ფოლად-ზადე და ა/კსფსრ მომარაგების სახალხო კომისარიატიდან—ამხ. პევცოვი.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **გ. მუსაბეკოვი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ა. შავერდოვი.**

1932 წ. მაისის 10.
ტფილისი.

დ ე გ უ ლ ე ბ ა

საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულთან (ა/კსფსრ-ში) არსებული სანადირო მეურნეობის მომწესრიგებელი კომიტეტის შესახებ.

1. ა/კსფსრ ტერიტორიაზე სანადირო მეურნეობის ხელმძღვანელობის გაუმჯობესებისა, სანადირო რეწაობის განსაზოგადოებული ფორმების ყოველმხრივ განმტკიცების და განვითარების მიზნით, თანაც ინდივიდუალური სანადირო რეწაობის ყველა შესაძლებლობის მაქსიმალურად გამოყენებისათვის და აგრეთვე სანადირო მეურნეობის სფეროში სხვადასხვა დაწესებულებისა და ორგანიზაციის მოქმედების შეთანხმებისათვის—საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულთან ა/კსფსრ-ში არსებობს სანადირო მეურნეობის მომწესრიგებელი კომიტეტი.

2. სანადირო მეურნეობის მომწესრიგებელი კომიტეტი:

ა) განიხილავს ა/კსფსრ უწყებების და ორგანიზაციებისა და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მიერ შემუშავებულ გეგმებს ნადირობის გამართვისა, სანადირო მეურნეობის (ნადირობა, მხეცთმოშენება, გარეულ-ცხოველ-ფრინველთმოშენება და სხვა მისთ.) განვითარებისა, სანადირო მეურნეობის ცალკეულ დარგებში კაპიტალდაბანდებისა, სანადირო სასროლო მასალით მომარაგებისა, სამეცნიერო-საკვლევო დაწესებულებათა სამუშაოების და ექსპედიციებისა, ონავარ ნადირთან საბრძოლველად დამცველ ღონისძიებათა წარმოებისა და მოწყობისა, ბეწვიან მხეცებზე და გარეულ ცხოველ-ფრინვლებზე სეზონობით ნადირობისა, სანადირო მეურნეობათა კადრების მომზადებისა და სამეცნიერო-საკვლევო, ბიოლოგიურ და სხვა მისთ. დაწესებულებათა მოწყობისათვის;

ბ) განიხილავს სანადირო მეურნეობის განვითარებისა და საქონლიანობის გადიდების საპერსპექტივო გეგმებს;

გ) განიხილავს ინსტრუქციებისა და წესების პროექტებს სანადირო მეურნეობის წარმოებისა, განსაკუთრებული სანადირო სანახების მიწერის წესისა და ნადირობის წარმოებისა, ვადებისა და ხერხის შესახებ, აგრეთვე იმ მხეცთა და ფრინველთა ნუსხებს, რომლებზედაც ნადირობა უსათუოდ აკრძალულია;

დ) განიხილავს რეწაობის იარაღის ძირითადი ტიპების პროექტებს ამ იარაღის მასსური წარმოებისათვის (სხვათა შორის სასროლი იარაღისა) და მომარაგებისათვის; აგრეთვე განიხილავს წინადადებებს რეწაობის იარაღით მონადირეებისა და მათი კოლექტივების მომარაგების წესის შესახებ;

ე) შეიმუშავებს სარეწაოთა ინტენსიფიკაციის საკითხებს;

ვ) განიხილავს თავისუფლად მხეცთმოშენებისათვის ნადირობამცოდნეებისა და მხეცთმცოდნეების მომმზადებელი სასწავლებლების პროგრამებს; განიხილავს სამეცნიერო-საკვლევო მუშაობის შედეგებს სანადირო მეურნეობისა და ნადირობის რეწაობის პროდუქციის გამოყენების სფეროში და მიიღებს ამ შედეგებს პრაქტიკული გამოყენებისათვის;

ზ) განიხილავს სანადირო მეურნეობის საექსპორტო რესურსების გადიდების ღონისძიებათა პროექტებს;

თ) განიხილავს სანადირო მეურნეობის საექსპორტო წყაროების სტანდარტების და ტექნიკური პირობების საკითხებს;

ი) მიიღებს მონაწილეობას ნადირობის რეწაობის პროდუქციის სადამზადებლო ფასების დამუშავებაში;

კ) განიხილავს დებულებებს სამეცნიერო ნადირობისა და ცოცხალი გარეული ცხოველების ჭერის უფლებისათვის ნებართვის მიცემის წესის შესახებ;

ლ) განიხილავს თავდაპირველი საერთო და სპეციალური სანადირო გამართულობის ტიპურ პროგრამებს და აგრეთვე განსაკუთრებულ სანადირო სანახების ექსპლოატაციის ტიპურ ხელშეკრულებებს;

მ) შეიმუშავებს ონავარ ნადირთან ბრძოლის ღონისძიებებს;

ნ) მონაწილეობას მიიღებს სანადირო მეურნეობის შესახები ლიტერატურის გამოცემის გეგმებისა და ამ ლიტერატურის პროგრამების შედგენაში;

ო) შეიმუშავებს ღონისძიებებს სანადირო მეურნეობის პროდუქციის თვისების გაუმჯობესებისათვის;

პ) განიხილავს საკითხებს უწყებებისა და ორგანიზაციების პასუხისმგებლობის შესახებ სანადირო მეურნეობის წარმოებისათვის;

ჟ) განიხილავს ყველა სხვა საკითხს, რაც სანადირო მეურნეობას ეხება.

3. კომიტეტს შეადგენენ: თავმჯდომარე — სსრკ საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებული ა/კსფსრ-ში, მისი მოადგილე და აზერბაიჯანის სსრ-ის, სომხეთის სსრ-ის და საქართველოს სსრ-ის ნადირობის კოოპერაციისა, სსრკ-ის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის (ა/კსფსრ-ში) ნადირობის სექტორისა, „ზაკპუშნინისა", ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატისა, ა/კსფსრ მომარაგების სახალხო კომისარიატისა, ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატისა, სსრკ-ის სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულისა ა/კსფსრ-ში და ა/კ. საკოლმეურნეოცენტრის წარმომადგენელნი, სულ 13 კაცი.

შენიშვნა. კომიტეტის შედგენილობაში, მისივე გადაწყვეტილებით, რასაც ამტკიცებს სსრკ-ის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებული ა/კსფსრ-ში, ხოლო შემდგომ ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო, შეიძლება მიღებულ იქნენ ცალკეული პირნი, რომელთაც აქვთ სათანადო სამეცნიერო ცოდნა ან დიდი პრაქტიკული გამოცდილება სანადირო მეურნეობის სფეროში.

4. კომიტეტის დადგენილება მიიღება კომიტეტის დამსწრე წევრთა ხმის უმეტესობით; კომიტეტის სხდომა კანონიერია, უკეთუ მას დაესწრო არა ნაკლებ 7 კაცისა.

კომიტეტის იმ წევრებს, რომელნიც თანახმანი არ არიან კომიტეტის დადგენილებისა, უფლება აქვთ წარუდგინონ 3 დღის განმავლობაში თავიანთი პროტესტი სსრკ-ის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულს (ა/კსფსრ-ში), რომლის გადაწყვეტილებაც საბოლოოა.

5. კომიტეტის სხდომები დაინიშნება თავმჯდომარის მიერ საჭიროებისა და მიხედვით, ხოლო არა ნაკლებ ოთხის სხდომისა წელიწადში, ან კომიტეტის შედგენილობაში შემავალი ორგანიზიციების მოთხოვნით.

6. კომიტეტი თავისი მუშაობისათვის იხელმძღვანელებს სსრკ-ის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატთან არსებული სრულიად საკავშირო სანადირო მეურნეობის კომიტეტისა და ა/კსფსრ მთავრობის დირექტივებსა და დადგენილებებს.

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

97. გეოტოპოგრაფიული და კარტოგრაფიული სამუშაოების დაგეგმვისა და მოწესრიგების საქმის მოწყობის შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. მიზანშეწონილად იქნეს ცნობილი, რათა ა/კ. ჰაეროფოტოგეოდეზიურ ტრესტს დაეკისროს ა/კსფსრ ყველა უწყების გეოდეზიურ-ტოპოგრაფიული და კარტოგრაფიული სამუშაოების დაგეგმვა და მოწესრიგება.

2. გეოტოპოგრაფიული და კარტოგრაფიული სამუშაოების დაგეგმვას და მოწესრიგებას ტრესტი აწარმოებს სსრკ-ისა და ა/კსფსრ-ის სახელმწიფო საგეგმო კომისიების საერთო ხელმძღვანელობით და დირექტივებით.

3. ა/კ. ჰაეროფოტოგეოდეზიური ტრესტის თავმჯდომარე შევიდეს წევრად ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის პრეზიდიუმში და წინადადება მიეცეს მას—წარუდგინოს ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის პრეზიდიუმს ინსტრუქცია ა/კსფსრ-ის გეოდეზიური და ტოპოგრაფიული სამუშაოების დაგეგმვისა და მოწესრიგების შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **გ. მუსაბეკოვი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ა. შავერდოვი.**

1932 წ. მაისის 10
ტფილისი.

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

98. სამოქალაქო საჰაერო ფლოტის განვითარებისა და მშენებლობის ხელისშემწყობი ამიერკავკასიისა, რესპუბლიკანური და ადგილობრივი კომისიების მოწყობის შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. სამოქალაქო საჰაერო ფლოტის ორგანოებისათვის მუდმივი დახმარების გასაწევად ჰაეროპორტების მუშაობასთან დაკავშირებულ საკითხებში—მოეწყოს სამოქალაქო საჰაერო ფლოტის განვითარებისა და მშენებლობის ხელისშემწყობი ამიერკავკასიის კომისია.

2. 1-ლ მუხლში აღნიშნული ამიერკავკასიის კომისია მოწყობილ იქნეს შემდეგი შედგენილობით: ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ტერ-გაბრიელიანი, ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარი ამხ. ერემიანი და საჰაერო ფლოტის ამიერკავკასიის სამმართველოს უფროსი ამხ. ბელოზეროვი.

3. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს—მოაწყონ სათანადო კომისიები ამ რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებთან, ავტონომიური რესპუბლიკების და ოლქების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებთან და იმ დადრონი ქალაქების საქალაქო საბჭოებთან, სადაც ჰაეროდრომებია.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **გ. მუსაბეკოვი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ა. შავერდოვი.**

1932 წ. მაისის 10.
ტფილისი.

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

99. სახელმწიფო საგეგმო კომისიებთან სამშენებლო სამუშაოთა საწარმოო და სატარიფო ნორმირებისათვის არსებული მუდმივი საუწყებათაშორისო თათბირების შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. მიენდოს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს—მოაწყონ სახელმწიფო საგეგმო კომისიებთან მუდმივი

საუწყებათაშორისო თათბირები სამშენებლო სამუშაოთა საწარმოო და სატარიფო ნორმირებისათვის.

2. მოეწყოს ასეთივე მუდმივი თათბირი ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან და დაეკისროს მას, დებულებით გათვალისწინებული ფუნქციების გარდა, აგრეთვე რესპუბლიკანური თათბირების სამუშაოთა დაკავშირება და მოწესრიგება—სსრკ-ის სახელმწიფო საგეგმო კომისიის მიერ 1932 წ. მარტის 3-ს დამტკიცებული დებულებით გათვალისწინებულ საფუძვლებზე.

3. დადგენილ იქნეს, რომ რესპუბლიკანური თათბირები მიმართავენ სსრკ-ის სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან არსებულ ცენტრალურ თათბირს მარტოოდენ ამიერკავკასიის თათბირის მეშვეობით.

4. აღნიშნული კომისიების მუშაობა დაფინანსდება იმ თანხების 10-პროცენტიანი ანარიცხებით, რაც გათვალისწინებულ უნდა იქნეს სამშენებლო ხარჯთაღრიცხვებში საკვლევო-სარაციონალიზატორო მუშაობისათვის.

5. წინადადება მიეცეს ყველა იმ ორგანოს, რომელიც აფინანსებს ა/კსფსრ ტერიტორიაზე წარმოებულ მშენებლობას, ამ მშენებლობისათვის კრედიტების გახსნისას გადარიცხონ აღნიშნული 10-პროცენტიანი ანარიცხი მე-4 მუხლში აღნიშნული თანხებიდან სახელმწიფო საგეგმო კომისიების სპეციალურ ანგარიშებზე; ამასთანავე, 7,5%-ი უნდა გადაირიცხოს რესპუბლიკანური სახელმწიფო საგეგმო კომისიების ანგარიშებზე მშენებლობის ადგილის მიხედვით, ხოლო 2,5%-ი—ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის ანგარიშზე.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **გ. მუსაბეკოვი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ა. შავერდოვი.**

1932 წ. მაისის 10.
ტფილისი.

მთავლიტი 1822. საქ. სახკომსაბჭოს სტამბა. დაკვეთა 1099. ტირაჟი—1.400.

საუწყებათაშორისო თათბირები სამშენებლო სამუშაოთა საწარმოო და სატარიფო ნორმირებისათვის.

2. მოეწყოს ასეთივე მუდმივი თათბირი ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან და დაეკისროს მას, დებულებით გათვალისწინებული ფუნქციების გარდა, აგრეთვე რესპუბლიკანური თათბირების სამუშაოთა დაკავშირება და მოწესრიგება—სსრკ-ის სახელმწიფო საგეგმო კომისიის მიერ 1932 წ. მარტის 3-ს დამტკიცებული დებულებით გათვალისწინებულ საფუძვლებზე.

3. დადგენილ იქნეს, რომ რესპუბლიკანური თათბირები მიმართავენ სსრკ-ის სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან არსებულ ცენტრალურ თათბირს მარტოოდენ ამიერკავკასიის თათბირის მეშვეობით.

4. აღნიშნული კომისიების მუშაობა დაფინანსდება იმ თანხების 10-პროცენტიანი ანარიცხებით, რაც გათვალისწინებულ უნდა იქნეს სამშენებლო ხარჯთაღრიცხვებში საკვლევო-სარაციონალიზატორო მუშაობისათვის.

5. წინადადება მიეცეს ყველა იმ ორგანოს, რომელიც აფინანსებს ა/კსფსრ ტერიტორიაზე წარმოებულ მშენებლობას, ამ მშენებლობისათვის კრედიტების გახსნისას გადარიცხონ აღნიშნული 10-პროცენტიანი ანარიცხი მე-4 მუხლში აღნიშნული თანხებიდან სახელმწიფო საგეგმო კომისიების სპეციალურ ანგარიშებზე; ამასთანავე, 7,5%-ი უნდა გადაირიცხოს რესპუბლიკანური სახელმწიფო საგეგმო კომისიების ანგარიშებზე მშენებლობის ადგილის მიხედვით, ხოლო 2,5%-ი—ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის ანგარიშზე.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **გ. მუსაბეკოვი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ა. შავერდოვი.**

1932 წ. მაისის 10.
ტფილისი.

მთავლიტი 1822. საქ. სახკომსაბჭოს სტამბა. დაკვეთა 1099. ტირაჟი—1.400.